

ლერი ჯიბლაძე

კოლხური კულტურის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის განძებთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხისათვის

კოლხური კულტურის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის განძები არაერთ მკვლევარს აქვს განიხილული, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. მიუხედავად ამისა კვლავ რჩება ამ კატეგორიის ძეგლებთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი, რომელიც ჩვენის აზრით, სამეცნიერო ლიტერატურაში ნაკლებადაა გაშუქებული. წინასწარ აღვნიშნავთ, რომ ასეთს უნდა მიეკუთვნოს შემდეგი საკითხები: იმის გამო, რომ ბრინჯაოს განძებს მიწის სამუშაოებისას ყველაზე ხშირად შემთხვევით პოულობდნენ არაპროფესიონალი ადამიანები, ბუნებრივია ნაკლები ყურადღება ეთმობოდა განძების აღმოჩენის ვითარების გარკვევას და ბევრი რამ შეუმჩნეველი რჩებოდა; ძალიან ხშირად არ არის თვალი გადავსებული განძებში შემავალი ბრინჯაოს ზოდების ფორმების, დიამეტრისა და წონის ერთეულის გადმოცემაზე; ყურადღება არ არის გამახვილებული კოლხეთში გვიანბრინჯაოს ხანაზე უფრო ადრეულ პერიოდებში თუ ჩნდება სპილენძის ზოდები; სპეციალურ ლიტერატურაში თითქმის არ ასახულა ბრინჯაოს ხანაში კოლხეთის მთისა და ბარის მოსახლეობას შორის ურთიერთობისას (ვგულისხმობთ სპილენძის ნედლეულით გაცვლა-გამოცვლების პროცესს) შესაძლოა თუ არა სპილენძის ზოდები წარმოადგენდეს ადრეული გადახდის საშუალებას, ე. წ. „ადრეული ფულის“ ექვივალენტს. ძველი აღმოსავლეთის სამყაროში ასეთი მოდელი (სხვადასხვა ლითონისგან დამზადებული ნაკეთობები, მათ შორის ზოდები, როგორც გაცვლა-გამოცვლების საგანი-გადახდის საშუალება, „ადრეული ფულის“ ექვივალენტი) უკვე მოქმედებდა ძვ. წ. IV-II ათასწლეულებში [Авилова. 2014:26; 2015:49-67] და რატომ არ შეიძლება იგი კოლხეთში არსებულიყო უკვე შუაბრინჯაოს მიწურულიდან და გვიანბრინჯაოს საწყისი საფეხურიდან. ეს მითუმეტეს მაშინ, როდესაც დასავლეთ საქართველოს ტერიტორია თავისი გეოგრაფიული მდებარეობით ძველი აღმოსავლეთის ცივილიზაციის კერების მომიჯნავე რეგიონია და უძველესი პერიოდიდან ჩართული უნდა ყოფილიყო მისი განვითარების რადაციის ზონაში. აქ მიმდინარე ყოველ ახალ ინოვაციურ პროცესებს ადრე თუ გვიან თავისებური გამოვლინება უნდა ჰქონოდა კოლხეთის ტერიტორიაზე. ამ რეგიონში არსებული ზოგიერთი

რეალობიდან გამომდინარე შესაძლოდ მიგვაჩნია განძების მიწაში ჩაფლვის თარიღი გადავნიოთ რამდენადმე სიღრმეში – ადრე ბრინჯაოს ხანის დასასრულს; სპეციალურ ლიტერატურაში თითქმის ნაკლებადაა განხილული კოლხეთის მთიანეთში არსებული ბრინჯაოს მეტალურგიული წარმოების პირველადი კერებიდან ბარში განლაგებულ ლითონდამუშავების კერებში სპილენძის ნედლეულის ტრანსპორტირების საკითხები და ა. შ. უკანასკნელ პერიოდში დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ მთიან რეგიონში (ზემო სვანეთი) გამოვლინდა მდინარეში (ენგური, ლასილა) ბრინჯაოს ნივთების მიზნობრივად წყალში ჩაძირვა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ ფაქტზე უკანასკნელ პერიოდში გამოცემულ ნაშრომში გავამახვილეთ ყურადღება [კვიციანი; ჯიბლაძე 2015:52-68], ამ საკითხს მაინც მოკლედ შევხებით. ამდენად, განძების მოკლედ განხილვის საერთო ფონზე სწორედ ასეთი საკითხების წინ წამოწევა დავისახეთ მიზნად და შეძლებისგვარად პასუხის გაცემა.

როგორც ცნობილია, ბრინჯაოს მეტალურგიული წარმოების მეორად კერებს უკავშირდება კოლხური გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის განძები,¹ რომელთაც პირობითად სამ კატეგორიად ყოფენ. სავარაუდოდ, მათი უმრავლესობა ჩამოსხმული უნდა იყოს განძების ჩაფლვის ადგილთან ახლოს მდებარე, უმრავლეს შემთხვევაში მიუკვლეველ ლითონჩამოსხმელ სახელოსნოებში. ვფიქრობთ, სხვა მონაცემებთან ერთად, ამ ფაქტზე უნდა მიუთითებდეს იშვიათად განძების თანმხლები ყალიბები (თაგილონისა და გალის განძები). ასევე ზოგიერთი განძის აღმოჩენის ადგილზე (სოხუმის მთა, ოჩამჩირე – 1961 წ., გალის 1956 წ., მახინჯაურის 1905 წ.) [Иессен1935:140-141; კალანდაძე 1954:12-35, 59, 62-63; რამიშვილი 1974:11; აფაქიძე 2006:74-76] დაფიქსირებული ბრინჯაოს მეორადი მეტალურგიული წარმოების კვალი (სპილენძის სადნობი ქურების ნაშთები, ნალვენთები და სხვ). ბრინჯაოს განძების აღმოჩენების ადგილებზე ჩამოსხმას ასევე უნდა მიაწინებდეს მათი ერთი ნაწილიც, რომლებიც შეიცავენ ზოდებს, ხმარებიდან გამოსულ სხვადასხვა ნივთების ფრაგმენტებს და ა. შ. როგორც ჩანს, ისინი ხელმეორედ ჩამოსხმისთვის უნდა ყოფილიყვნენ განკუთვნილი [ინანიშვილი და სხვ. 2010: 132-133].

გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კოლხური კულტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფენომენი განძები გამოვლენილია დაახლოებით 150 პუნქტში (კოლხეთის ფარგლებს გარეთ კი აღნუსხულია 16 ასეთი შემთხვევა) [ლორთქიფანიძე 2001: 192-194, სურ. 1].² როგორც ცნობილია, ამ კატეგორიის ძეგლების ფუნქციაზე, მათი მიწაში ჩაფლვის მოტივზე არაერთი მოსაზრებაა გამოთქმული,

რომელსაც აღარ გავიმეორებთ [Иессен 1935:117; Куфтин 1949: 222; 1950: 162; კალანდაძე 1954:12-13; გობეჯიშვილი; ჯაფარიძე 1959: 146-147; Кушнарева 1973:35; ლამბაშიძე 1963:84-86; Воронов 1969:73; Трапш 1970:171; ჯაფარიძე 1975: 142; Лордкиპანიძე 1977:5-14; სახაროვა 1976: 40-41; ჯიქია 1978: 143-171; გოგაძე 1980: 547-548; მიქელაძე 1985: 156; აფაქიძე 1988: 46-52; 2006: 66-87; სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები 2007: 151; ინანიშვილი და სხვ. 2010:131-133]. უკანასკნელ პერიოდში გამოიცა ამ კატეგორიის ძეგლებთან დაკავშირებით ძალზე საყურადღებო ნაშრომი, სადაც განვითარებული იქნა უაღრესად საყურადღებო მოსაზრება და ახალი ინტერპრეტაციით შეჯამებული იქნა ადრე გამოთქმული შეხედულებები [ლორთქიფანიძე 2001: 178-194]. მოკლედ აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ მკვლევართა უმრავლესობის მიერ, კოლხურ კულტურაში ცნობილი განძები მიჩნეულია მდნობელთა (ჩამომსხმელთა), ლითონით მოვაჭრეთა ან საერთოდ დიდი ოჯახის, თუ საოჯახო თემის საკუთრებად, რომელიც შიშინანობის დროსაა ჩაფლული, ძირითადად ომიანობის თუ თავდასხმის დროს. ისინი დაბრუნებადია, ხელმეორედ გამოსაყენებლად.³ მელითონეთა განძები გავცელებული იყო იქ, სადაც მიწათმოქმედების განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობები არსებობდა [სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები 2007: 151]. როგორც აღნიშნავენ, პირველადი მოთხოვნილების საგნად ლითონის ნაწარმის გადაქცევამ წარმოშვა მწარმოებელ და მომხმარებელს შორის მდგარი, ან დამაკავშირებელი საგანგებო ჯგუფი ადამიანებისა, რომლებიც მალე პროფესიულ ვაჭრებად გადაიქცენ [გობეჯიშვილი 1970:282].⁴

ევროპულ პარალელებზე დაყრდნობით ამ კატეგორიის ძეგლების შესახებ გამოითქვა განსხვავებული მოსაზრებაც, რომ კოლხური ბრინჯაოს განძების მიწაში ჩაფლვა ხდებოდა საკულტორელიგიური მიზნითაც. კერძოდ, მათ საკრალური დანიშნულება უნდა ჰქონოდათ. ისინი ღვთაებისადმი შეწირულობის, მსხვერპლშენიღვის, თავისებურ წესს წარმოადგენდენ [ლორთქიფანიძე 2001:182]. განძებზე გამოთქმულ ვარაუდებს შორის ჩვენთვის ყველაზე უფრო მისაღებია მოსაზრება, რომ მათი გაჩენა დაფუძვნირობით ბრინჯაოს მეტალურგიული წარმოების პირველად და მეორად კერებს შორის ურთიერთობას. კერძოდ, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში ცენტრალური კავკასიონის სამხრეთ კალთაზე და მცირე კავკასიონის ქედზე განლაგებული სამთამადნო წარმოების ძეგლები სრული დატვირთვით მუშაობს და აწვდის ნედლეულ მასალას, ძირითადად ბარში და ზღვისპირა ზოლში განლაგებულ ლითონგადამამუშავებელ კერებს. ხდებოდა ჭარბად მოწოდებული

სპილენძის ნედლეულის დაგროვება [ინანიშვილი და სხვ. 2010:132-133; კვიციანი; ჯიბლაძე 2015:57]. ბარში ფუნქციონირებადი ბრინჯაოს მეორადი მეტალურგიული ნარმოების კერები მთლიანად ვერ ამუშავებს მოწოდებულ ლითონს და იძულებულია ისინი. ეს კი თავს იყრის განძების სახით ძირითადად შერეული (სხვადასხვა ნივთების ფრაგმენტებისა და ზოდების შემადგენლობით) და სპილენძის ზოდების (მხოლოდ ნახევარფაბრიკატებისა და ზოდების სახით) ტიპის ლითონის ნაკრებში [ინანიშვილი და სხვ. 2010: 132-133]. შესაძლოა ჭარბად მოწოდებული სპილენძის ნედლეულის გადანახვის ფაქტს ერთგვარად ადასტურებდეს გალის რ-ნის სოფ. ფიჭორის მძლავრი ლითონდამუშავებელი კერიდან 200 მეტრის დაშორებით, მიწის ხენის დროს ერთად თავმოყრილი 100-ზე მეტი სპილენძის ზოდის აღმოჩენა [ჯიბლაძე 2007: 73].

უკანასკნელ პერიოდში ზემო სვანეთში მდ. ენგურში გამოვლინდა სპილენძ-ბრინჯაოს ინვენტარი [კვიციანი; ჯიბლაძე 2015: 15-49, ტაბ. II-X], რომლის უმრავლესობა განეკუთვნება ყუამილიან-ყუადაქანებულ ცულებს. მდ. ენგურში ნაპოვნი ნივთები სხვადასხვა ხასიათისაა და გასხვავებულ ქრონოლოგიურ ეტაპს ეკუთვნის. ლითონის არტეფაქტები მდ. ენგურში (ასევე, ლასილას ხეობაში და სხვ.) ოქროს ძიებისას ადრეც არაერთხელ ყოფილა აღმოჩენილი [ჩართოლანი 1977:14, 38, 40, 36; 1996:52, 65; ხვისტანი 2011:25-29, 33-34].⁵ მაგრამ ვფიქრობთ, იმ პერიოდში სათანადო ინტერპრეტაცია ამ ფაქტზე არ იქნა გაკეთებული და ყველაფერი შემთხვევითობით იქნა ახსნილი. საერთოდ კი მდ. ენგურში და მის ხეობაში დაწყებული სოფ. ხაიშიდან დამთავრებული მის სათავეებამდე, სხვადასხვა პერიოდში აღმოჩენილია დაახლოებით ორ ასეულამდე სპილენძ-ბრინჯაოს არტეფაქტი [კვიციანი; ჯიბლაძე 2015:52-53], რომელთა უმრავლესობა თავმოყრილია იქ, სადაც ტერიტორია ითვლება საკულტო ადგილად და შემორჩენილია ძველი ნაეკლესიარი, ანდა ეკლესიაა აგებული. ბუნებრივია, ჩნდება მეტად ლოგიკური კითხვები, რომლებიც ახსნას მოითხოვს. კერძოდ, როგორ აღმოჩნდა მდინარეში სპილენძ-ბრინჯაოს არტეფაქტები; გასარკვევია შემთხვევითობასთან გვაქვს საქმე, თუ რალაც ტრადიციასთან, რომელიც უნდა უკავშირდებოდეს მდ. ენგურში ლითონის არტეფაქტების მიზნობრივად ჩაძირვა-გადაგდებას. შესაძლოა თუ არა მდ. ენგურში ნაპოვნი სპილენძ-ბრინჯაოს ინვენტარი ჩაითვალოს განძებად,⁶ თუ იგი დროთა განმავლობაში პერიოდულად იყრებოდა ამ მდინარეში. საყურადღებოა, რომ სპილენძ-ბრინჯაოს ნივთების თავმოყრა წყალში პირველი შემთხვევაა და ასეთი ტრადიცია საქართველოს არცერთ რეგიონში არ ფიქსირდება. კოლხური

კულტურის გავრცელების არეალში, მანამდე განძები აღმოჩენილი იყო ტრიალ მინდორში, ზოგჯერ მდინარის პირას, ზღვისპირა დიუნებში და იშვიათად ნამოსახლარზე. სვანეთში გამოვლენილ ბრინჯაოს ნივთების მიზნობრივად წყალში გადაყრის ტრადიციას პარალელები მოეპოვება ევროპაში, სადაც სხვა ადგილებთან ერთად (ჭაობები, ულელტეხილები, მღვიმეები, მინდვრები),⁷ ძალზე ხშირია ძირითადად თავდაცვითი ხასიათის ბრინჯაოს იარაღების აღმოჩენის ფაქტები ტბებში, წყალსაცვავეებში და განსაკუთრებით დიდი რაოდენობით კი მდინარეებში. ეს ფაქტი ვოტივური დანიშნულების მოწმობად ერთხმადაა აღიარებული [ლორთქიფანიძე 2001:183; Хансен 2013:284]. ვფიქრობთ ევროპული პარალელების მსგავსად მდ. ენგურში ბრინჯაოს ნივთების მიზნობრივი ჩაძირვა რაღაც სარიტუალო წესთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. მათ უნდა ჰქონოდათ საკულტო, საკრალური დანიშნულება და ღვთაებისადმი შეწირულობას უნდა წარმოადგენდენ. უნდა ვიფიქროთ, რომ ბრინჯაოს ნივთების წყალში გადაყრით და ღმერთისადმი შეწირულობით აქ ერთგვარი სარიტუალო პროცესია სრულდებოდა [დეტალურად იხილეთ კვიციანი; ჯიბლაძე 2015:52-68].

კოლხეთში უმრავლეს შემთხვევაში განძებს შემთხვევით პოულობდენ არასპეციალისტები და ბუნებრივია აქედან გამომდინარე მათი აღმოჩენის ვითარებას ნაკლები ყურადღება ექცეოდა, რასაც ზოგიერთი საკითხის გარკვევისას ძალიან დიდი მნიშვნელობა გააჩნია. კერძოდ, გასამახვილებელია ყურადღება ხომ არ შეინიშნებოდა განძების აღმოჩენების ადგილებზე ბრინჯაოს საწარმოო სახელოსნოს ნაშთები, რაც ზოგიერთ შემთხვევაში, უტყუარად უნდა მიანიშნებდეს მათ აღმოჩენის ადგილზევე ჩამოსხმა-დამზადებას. ეს ფაქტი თავისთავად გამორიცხავს ჩაფლვის ადგილებზე სხვა საწარმოო კერიდან განძებში შემავალი არტეფაქტების გამზადებული ნაწარმის სახით შემოტანას.⁸

აღსანიშნავია, რომ დღემდე ნაკლები ყურადღება ენიჭებოდა განძებში შემავალი ზოდების ფორმების, დიამეტრისა და წონის ერთეულის გადმოცემას. კერძოდ, გააჩნდა თუ არა სპილენძის ზოდებს სტანდარტული ფორმები. უმრავლეს შემთხვევაში მათი წონა არ სახელდებოდა, ანდა საერთოდ ზოგადად იყო მითითებული. იშვიათადაა მათი ჩანახატები მოცემული. ზოდების შესახებ მსჯელობა გვიხდება ამა თუ იმ ავტორის მიერ მოცემული მონაცემების მიხედვით. არადა ამ ელემენტების გათვალისწინებას და ზოდებში გარკვეული დიფერენციაციას შეტანას დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ თვალსაზრისიდაც, რომ, როგორც აღინიშნა, უძველეს პერიოდში ისინი გაცვლა-გამოცვლების მიმდინარეობისას, ძველი აღმოსავლე-

თის პარალელების გათვალისწინებით (ანატოლია, მესოპოტამია და ა. შ.) , ხომ არ წარმოადგენდენ ადრეული გადახდის საშუალებას (ე. წ. „ადრეული ფულის“ ექვივალენტს).

კოლხური გვიანბრინჯაოს ხანის განძების შემადგენელი ელემენტი სპილენძის ზოდები, დასტურდება მცირე, საშუალო და დიდი ზომის. ზოგიერთ შემთხვევაში მათი წონა მითითებულია 1, 2, 4, 7, 10-12, 30-35 კგ. ფარგლებში. დიამეტრია 12, 0 X 13, 0 X 10, 0 X 9, 0X 0, 8 X 3, 5 X 2, 5 X 1, 5 სმ-ზე. არის შემთხვევები, როდესაც განძებში წარმოდგენილი ზოდების საერთო წონა აღწევდა 80 კგ (ტოლა), ანდა 179 კგ. (ზემო სიმონეთის განძი) [ქორიძე 1965:24]. ხანდახან ცალკეული ზოდის სიმძიმე უდრიდა 50, 80 და 100 კგ. ხშირად ასეთი სიმძიმის ზოდები მიკვლეულია სპილენძის საბადოებთან ახლოს (მაგ. ვაკიჯვარი) და შესაძლოა იგი კოლხეთის პირობებში, შედარებით შორეული ტრანსპორტირებისთვის არც ყოფილიყო გამიზნული. თუმცა კოლხეთის დაბლობის სიღრმეში ზოგჯერ გვხვდება 80 კგ-მდე სპილენძის ზოდი (მხედველობაში გვაქვს ქვემო ქვალონის ტერიტორიაზე გამოვლენილი), რომელიც საკმაოდ დიდი მანძილითაა დაცობილი სპილენძის საბადოებს.⁹ ხანდახან, განძების შემადგენლობაში შედიოდა 24, 29, 45, 50, 96 ბრინჯაოს ზოდი (გალის 1959 წ. განძი, ოჩხომური, ციხისძირი-სამებას განძი – 1905 წ. აღმოჩენა, წყაკარო, ვაკიჯვარი). გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში ხშირად გვხვდება განძები მარტო ზოდების სახით. ასევე სხვა ფუნქციონალური დანიშნულების ნივთებთან ერთად შერეული სახით (მაგალითად აფხაზეთის ტერიტორიაზე 8-9 შემთხვევაა მარტო ზოდებისგან შემდგარი განძების აღმოჩენისა, შერეული სახით კი ასეთი 17 განძი დასტურდება).

კოლხეთის ტერიტორიაზე გამოვლენილი ზოდები გამოირჩევა ფორმათა ნაირგვარობით. მათ შორის გვხვდება დისკოსებური, ნახევარსფეროსებური, ბრტყელძირა, ამორფული, გადაჭრილი კონუსისებური მოყვანილობის, მრგვალი, უფორმო და ა.შ. [ქორიძე 1965:23; აფაქიძე 1985: 60-68; 2006:71, 74; კახიძე; მამულაძე 2000:65, სურ. 37; გაგოშიძე 1976:12-13].

განძები უმრავლეს შემთხვევაში მიწაში განთავსებულია თიხის ჭურჭლის გარეშე. ასევე თიხის (ქოთანი, დერგი, ჭური), ბრინჯაოს ჭურჭელში, თუჯის ქვაბში და ქვის ყუთში (ბეჟათუბნის განძი 1928 წ. აღმოჩენა) ჩაწყობილი. ზოგჯერ განძების ჩაფლვისას ერთდროულად გამოყენებულია სამი ბრინჯაოს ჭურჭელი-ქვაბი (მახარიას 1961 წ., თაგილონი) [ქორიძე 1965: 28, 32]. არის შემთხვევები, როდესაც სხვა ლითონის ინვეტართან ერთად იშვიათად დასტურდება მიწაში ჩაფლული მცირე ზომის ოქროს ზოდები (ჭუბურხინჯის

განძი).¹⁰ ზოგიერთ შემთხვევაში განძების შემადგენლობაში კოლხური კულტურის არტეფაქტებთან ერთად აღმოჩენილია აღმოსავლეთ ამიერკავკასიული ტიპის ბრინჯაოს ცული და აღმოსავლურ-ქართული ქედაბეკური ტიპის მახვილის ფრაგმენტი (პერევის, ზემო სიმონეთის, ბეჟათუბნის განძები და სხვა.) [ქორიძე 1965:24, 34]. ხანდახან ბრინჯაოს ზოდები წარმოდგენილია სამარხებში (ნალეფსაო, ვედიდკარი-მახათი, თლია) [აფაქიძე 1988:48; Тихон 1977:199; 1991:226]. დღემდე მიჩნეულია, რომ კოლხეთის ტერიტორიაზე ყველაზე უადრესი ბრინჯაოს განძების მიწაში ჩაფლვა იწყება შუაბრინჯაოს ხანის დასასრულიდან (ძვ. წ. XVII-XIV სს-ები-ურეკი, გალის განძი-1959 წ, ლეჩქოფი, ქვიშარი I და სხვ) [ქორიძე 1965:10-12; 1969: 28-29; Трапш 1970:169-174]. თუმცა საკვლევ მხარეში ზოგიერთი ნივთის აღმოჩენის ვითარება გვაფიქრებინებს, რომ ამ თარიღმა შესაძლოა რამდენიმე საუკუნით გადაინიოს სიღრმეში. მხედველობაში გვაქვს ილემი-ბორის საზღვარზე წაგრძელებული ოვალური ფორმის, ზემოთ ამოზურცულ (12,5X6,0 სმ, სისქე 1,7 სმ.) ბრინჯაოს ზოდთან ერთად გამოვლენილი ყუადაქანებული და ყუამილიანი ცულები. ვფიქრობთ, მათი აღმოჩენის ვითარება (ორი ან რამდენიმე ნივთის ერთსადაიმავე ადგილზე ერთდროულად განთავსება), უნდა გვაძლევდეს გარკვეულ საფუძველს, რომ ილემი-ბორის მონაპოვარს მივცეთ განძის კვალიფიკაცია და კოლხეთში ამ კატეგორიის ძეგლების მიწაში ჩაფლვის თარიღი გადავნიოთ რამდენადმე სიღრმეში (ადრებრინჯაოს ხანის დასასრული). ყოველ შემთხვევაში ასეთ თარიღზე უნდა მიგვითითებდეს ილემი-ბორის ცულების ტიპოლოგიური მონაცემები.

საინტერესოა, კოლხეთში როდის და რა ფორმის ზოდები ჩნდება პირველად და თუ შეიძლება ისინი ყოფილიყო გაცვლა-გამოცვლის მიმდინარეობისას გადახდის ექვივალენტი. განსაკუთრებით გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის პერიოდში, როდესაც იზრდება ბარისა და მთის მოსახლეობას შორის ურთიერთკავშირები, რომელიც პირველ რიგში გამოიხატება სპილენძის ზოდების მომარაგების მაშტაბებში.¹¹ საფიქრებელია, რომ კოლხეთის მთიანეთის ბრინჯაოს მეტალურგიული წარმოების პირველად ცენტრებში, რომელიც საკმაოდ დაშორებულია ზღვისპირა ზოლისგან, დაამზადებდნენ ტრანსპორტირებისთვის უფრო მოსახერხებულ ფორმისა და წონის ზოდებს. მაგრამ ისმის კითხვა: სანაცვლოდ ზოდებისა რა უნდა წაეღოთ მთის მობინადრეებს ბარის მოსახლეობისგან, რადგან ეს უნდა ყოფილიყო ამ ორ რეგიონს შორის მიმდინარე ჩვეულებრივი გაცვლა-გამოცვლითი პროცესები. იქნებ მარცვლეული კულტურა-ხორბლის სახით, რომელიც, როგორც ჩანს, არქეოლოგიური აღ-

მოჩენების მიხედვით ფართოდ ყოფილა გავრცელებული იმდროინდელ კოლხეთის ბარში (ანაკლია I, ანაკლია II, ფიჩორი, ნაოხვამუ, ყულევი, ანაკლია II, ნოსირი III და ა. შ.), ანდა რაიმე სხვა სახის პროდუქტი. იქნებ სულაც კალა, რომელიც მთაში უფრო ძნელი შესატანი უნდა ყოფილიყო. არ უნდა გამოვრიცხოთ ბარის მოსახლეობისგან გაცვლა-გამოცვლების პროცესებში ჩართული ყოფილიყო ქვის მძივ-სამკაულების დასამზადებელი ნედლეული მასალებიც, რომელთა სანარმოო სახელოსნოები ცენტრალური კოლხეთის ტერიტორიაზე ცნობილია (ოჩხომური, მუხურჩის ნანისქვილარი, ნოქალაქევი) [აფაქიძე 2001:14-31; გოგაძე და სხვ. 2010: 160-167]. ყოველ შემთხვევაში ეს უნდა ყოფილიყო მთის მოსახლეობისთვის მეტად გამოსადეგარი და საჭირო პროდუქტი (არაფუჭებადი), ან ჩვენთვის სხვა რაიმე უცნობი ნივთი. თვლიან, რომ ცენტრალურ კოლხეთში ძვ. წ. VIII ს-ში საკმაოდ განვითარებული გაცვლითი ვაჭრობები არსებობდა ნატურითაც; სპილენძის ნაკეთობებით, საქონლით. შესაძლოა ასევე გაცვლის ობიექტი ყოფილიყო ნახევრად ძვირფასი ქვებისაგან დამზადებული მძივები [Апакидзе 1991:54].

საინტერესოა კოლხეთის მთისა და ბარის მოსახლეობას შორის გაცვლა-გამოცვლების მიმდინარეობისას, როგორც გადახდის ექვივალენტი, სპილენძის ზოდების გარდა, თუ შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო ბრინჯაოსგან დამზადებული რაიმე სხვა სახის არტეფაქტი. იქნებ სულაც განსხვავებული ფორმის სახის სპილენძის ზოდები. ამ მხრივ ყურადსაღებია მდ. ფოცხოვის აუზში (ყარსის ყოფილი ოლქი) მეხჩის ციხის (1899 წ.) განძში, რომელიც შედგება კოლხური და იბერიულ-კავკასიური ნაკრები ბრინჯაოს ნივთებისაგან, შემავალი 7 ერთეული მასიური დიდი რგოლი (მათ შორის ორნამენტირებული). ამ არტეფაქტებს ა. იესენი უწოდებს გადახდის ექვივალენტს რგოლ-ზოდებს [ქორიძე 1965:38]. ასეთივე დიდი ზომის მასიური რგოლები დასტურდება ცხინვალის [ჯაფარიძე 1950:99-107, სურ. 5, 6] განძშიც, რომელთაც საეჭვოა პრაქტიკული დანიშნულება ჰქონოდათ. იქნებ ეს არტეფაქტები ზოდის ფუნქციის მატარებელი-გადახდის ექვივალენტი ყოფილიყო.¹² გამოთქმულია განსხვავებული მოსაზრებაც, რომ კოლხეთში ბრინჯაოს სეგმენტი შესაძლოა ყოფილიყო გაცვლის ერთეული (ე. პახომოვა) [Куфтин 1949: 318; მიქელაძე 1985: 26]. ამავდროულად ეს უნდა ყოფილიყო არა ძირითადი, არამედ მისი ერთ-ერთი ფუნქციაც [მიქელაძე 1985:27]. შესაძლოა, კოლხეთში ასეთი დატვირთვა სხვა ნივთებსაც ჰქონდა, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ძნელი ასახსნელია ტენდენცია, გვიანბრინჯაოს ხანაში განძების შენახვისა [მიქელაძე 1985:27, 155].¹³

გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში მთისა და ბარის მობინადრეებს შორის ინტენსიური ურთიერთობა სწორედ სპილენძის მოთხოვნილებების გაზრდით უნდა ყოფილიყო განპირობებული. ამ პროცესებში ალბათ ჩაბმული იყო მთელი მოსახლეობა. ფიქრობენ, რომ ბარის მოსახლეობა სწორედ სპილენძის მოთხოვნილებაზე გაზრდამ აიყვანა მთაში სამუშაოდ [ბარამიძე 1998: 120]. გაცვლა-გამოცვლების დროს ფართოვდებოდა ეკონომიური და კულტურული კავშირები.¹⁴ ძნელი სათქმელია, კოლხეთის მოსახლეობა აწარმოებდა თუ არა გარე სამყაროსთან სპილენძის ნედლეულით ვაჭრობას; ჩამბმული იყო თუ არა ამ ლითონით მიმდინარე გაცვლა-გამოცვლითი პროცესებში, თუ მისი სპილენძის მადანი ხმარდებოდა მხოლოდ შიდა ოპერაციებს. დიდი ალბათობით მოსალოდნელია, რომ ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე, მდ. ჭოროხის აუზში მდებარე სპილენძის საბადოებით (დღევანდელი მურღულის, ძანსულის, ხოდის, ქვარცხანას სპილენძის და სხვ.) მარაგდებოდა არა მარტო სამხრეთ-დასავლეთ კოლხეთის ტერიტორია, არამედ ანატოლიის ზოგიერთი მოსაზღვრე რაიონებიც. ამის შესახებ კიდევაც შენიშნავენ, რომ ამ სავაჭრო ქსელში სამხრეთ კავკასიაც მონაწილეობდა და სპილენძს აწვდიდა ჭოროხის აუზის მდიდარი საბადოებიდან, მურღულისა და მიმდგომი მხარეებიდან [ჯაფარიძე 2013:21].

როგორც ცნობილია, მოხსენიებულ საბადოებში მოიპოვება როგორც სულფიდური, ასევე ჟანგეული სპილენძის ნედლეული [Иессен 1935:44-63]¹⁵ და მისი ამოქმედება იწყება პრეისტორიული ხანაში (მხედველობაში გვაქვს ართვინთან ადგილ მურღულში რადიოკარბონული მეთოდით მიღებული თარიღი, ძვ. წ. IVათასწლეულის მეორე ნახევრი) [ლამბაშიძე და სხვ. 2010: XIV; ჯაფარიძე 2003:116].

ფიქრობენ, რომ ზემო რაჭის მდიდარი ანტიმონის საბადოები არა მარტო შიდა მოხმარებისათვის გამოიყენებოდა, არამედ ნედლეული მასალები გადიოდა აღმოსავლეთ საქართველოში, ალბათ უპირატესად შიდა ქართლის ტერიტორიაზე (ნული, ქვა-სათალი) [ჯაფარიძე 2013:33]. დიდი ალბათობით მოსალოდნელია, რომ ზემო რაჭის ანტიმონის საბადოებით შესაძლოა ესარგებლათ ცენტრალური კავკასიონის ქედს გაღმა დიგორიის კულტურის (ზემო რაჭის მოსაზღვრე ჩრდილოეთ ოსეთის მთიანი დასავლეთი მხარე) შუაბრინჯაოს მინურულისა და გვიანბრინჯაოს ხანის მოსახლეობას [Мошинский 2013:218-226; Скаков 2003:18-22; 2003a: 91-102]. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ძველი აღმოსავლეთის ანტიმონით მომარაგების ერთ-ერთი ძირითადი წყარო კავკასია

უნდა ყოფილიყო [ჯაფარიძე 2009:102; Farbes 1950: 265]. ამის დასტურად მოყვანილია მესოპოტამიაში ნაპოვნი ნივთები, როგორც წმინდა ანთიმონისაგან, ასევე ანთიმონიანი ბრინჯაოსაგან დამზადებული, რომლებიც ქიმიური შემადგენლობის მიხედვით უახლოვდებიან საქართველოში ნაპოვნი არტეფაქტებს [ჯაფარიძე 2013:33; Тавадзе; Сакварелидзе 1959:40; Müller-Karpe 1995:318]. ფიქრობენ, რომ თუ დავეყრდნობით ეგვიპტური ბრინჯაოს ნივთების ქიმიური ანალიზის შედეგებს, რომლებიც დამზადებულია დარიშხნიანი და ანთიმონიანი მინარევებისაგან, შესაძლოა ამ ფაქტმა მიგვიყვანოს ამ ნივთიერებების კავკასიური ცენტრებიდან მომდინარეობაზე [ბარამიძე 1998:179; Лукас 1958: 308]. ეს ის პერიოდია, როდესაც კოლხეთში უმაღლეს დონეზეა ასული ბრინჯაოს მეტალურგიული, წარმოება და შეგვიძლია ვივარაუდოთ კოლხეთიდან ბრინჯაოს მადნის ექსპორტზე [ბარამიძე 1998]. თუ ამ ვარაუდს აქვს არსებობის უფლება, მაშინ გასარკვევია რასთან გვაქვს საქმე:სავაჭრო-ეკონომიურ (პირდაპირი) თუ სატრანზიტო, საშუამავლო ურთიერთობებზე. ფიქრობენ, რომ კავკასიური ლითონი ზოდების სახით სწორედ საშუამავლო პუნქტებით გადიოდა. მათ შორის დამაკავშირებელი შუალედური რგოლი უნდა ყოფილიყო სირია და ფინიკიის ქალაქი ბიბლი, რომლის მეშვეობით კავკასიური ლითონი ზოდების სახით გადიოდა ეგვიპტესა და მესოპოტამიაში [ბარამიძე 1998:180].¹⁶ ამ ფაქტთან მიმართებაში ასევე საყურადღებო უნდა იყოს მეორე მონაცემების მოყვანაც. კერძოდ, ნახალმიშარში (იუდიის უდაბნო) ლითონის ნაწარმის ერთი ჯგუფი დამზადებულია დარიშხნიანი ბრინჯაოსგან ნიკელის მაღალი შემცველობით (6.9-7.9%). ასევე გვხვდება მეორე ჯგუფის ლითონის 30 ნაწარმი, რომელიც ჩამოსხმულია დარიშხნიანი ბრინჯაოსგან ანთიმონის მინარევეებით [АВИЛОВА 2010: 8]. ამ ფაქტთან დაკავშირებით სვამენ კითხვას, რომ ანთიმონისა და დარიშხნის შენაერთიანი საბადო ცნობილია კავკასიის ქედს გაღმა, შუაბრინჯაოს ხანაში მთიან რაჭაში. მაგრამ გვიანენეოლითში (ნახალ მიშმარი) და ადრეებრინჯაოს ხანაში (არსლან-თეფე) გამოვლენილი ანთიმონის კვალი გვაძილებს დაფიქრდეთ რა შორს მიდიოდა ჩრდილოეთით სავაჭრო გზები სირია-მესოპოტამიიდან ქებანის რ-ში-აღმოსავლეთ ანატოლიაში, ანდა უფრო შორს კავკასიაში [АВИЛОВА 2010:8]. რა თქმა უნდა ძნელი დასაშვებია ასეთ ადრეულ პერიოდში დავსვათ საკითხი რაჭის ანთიმონის მადნის ექსპორტზე, რომლის ექსპლუატაცია იწყება ბევრად მოგვიანო პერიოდში შუაბრინჯაოს ხანაში.

ამდენად ბრინჯაოს ხანაში გარკვეული საფუძველი უნდა არსებულიყო, რომ კოლხეთი ჩამბული ყოფილიყო ლითონის ნედლეულით

მიმდინარე საერთაშორისო სავაჭრო ქსელში. კერძოდ, იგი უნდა ყოფილიყო მიმწოდებელი ანთიმონის ნედლეულის მეზობელი რეგიონებისთვის. სავსებით ლოგიკურად გვეჩვენება გამოთქმული ვარაუდი, რომ ეს კონტაქტები გარე სამყაროსთან ხორციელდებოდა კანიშის სავაჭრო სისტემის მეშვეობით [ჯაფარიძე 2013:33].¹⁷

კოლხეთში გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში მომხდარია შრომის ერთგვარი დანაწილება, სადაც მოსახლეობის ერთი ნაწილი დასაქმებული უნდა ყოფილიყო გაცვლა-გამოცვლებით. ბარში სპილენძის ნედლეულის მიწოდებამ განსაკუთრებით ფართო მასშტაბები და უწყვეტი ხასიათი მიიღო გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში. ამ პერიოდში როგორც ჩანს, მიდიოდა სისტემური გაცვლა-გამოცვლები, რომელშიც დასაქმებული უნდა ყოფილიყო მოსახლეობის დიდი ნაწილი.

კოლხეთში ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულიდან განძების რაოდენობის გაზრდა გარკვეულ სიგნალს გვაძლევს არა მარტო ვაჭრობის მასშტაბების გაფართოებაზე, არამედ ამ ოპერაციაში მონაწილე ხალხის დიდ რაოდენობაზე, რომლებიც ავრცელებდნენ სპილენძის ნაწარმს. ამ პერიოდში იზრდება ნამოსახლართა მასშტაბები, მრავლდება მოსახლეობა, ხშირდება თავდასხმები და აუცილებელი გახდა საბრძოლო ხასიათის იარაღების დამზადება, ხალხის გამოკვება, სამკაულის დამზადება. ძნელი სათქმელია მთასა და ბარს შორის სპილენძის ნედლეულით გაცვლა-გამოცვლა როგორ მიმდინარეობდა. კოლხეთისათვის ამ შემთხვევაში გამოდგება თუ არა წინა აზიური მოდელი ვაჭრობა შუამავლების მეშვეობით [Кушнарева 1973:31]. ასეთმა ვაჭრობებმა განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო ძვ. წ. III ათასწლეულში ახლო აღმოსავლეთში, რომელსაც ვიგებთ შუმერული, აქადური, და ელამური თინის ფირფიტებით. ეს ტერიტორია ამ პერიოდში ფართოდ იყო ჩართული შიდა და გარე საერთაშორისო ვაჭრობაში [Кушнарева 1973:33].

ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებიდან საინტერესოა რა საშუალებებით ხდებოდა კოლხეთის მთიანეთიდან ბარში სპილენძის ნედლეულის გადმოზიდვა. ეს განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ბრინჯაოს პირველადი და მეორადი მეტალურგიული წარმოების კერები დაშორებულია საკმაოდ შორ მანძილზე 100-150 კმ-ზე. მაგალითად ზემო რაჭისა და ზემო სვანეთის სამთამადნო წარმოების ძეგლები და ზღვისპირა ზოლში განლაგებული ბრინჯაოს საწარმოო სახელოსნოები. კოლხეთში ძვ. წ. II ათასწლეულში ცხენი არ ჩანს საერთოდ გამოყენებაში. იგი ჩნდება მხოლოდ ძვ. წ. II ათასწლეულის მიწურულში, სამარხებში აღმოჩენილი ზოომორფული და ანტროპომორფული ბრინჯაოს ქანდაკებებისა და სხვა

ცალკეული აღმოჩენების სახით. სადღეისოდ არსებული მასალების მიხედვით აქიდან დაკვნა ერთი უნდა იყოს. კოლხეთში ეს ცხოველი უფრო ადრეულ პერიოდში ტრანსპორტირების საშუალებად ვერ გამოდგებოდა.

კოლხეთში მთიდან ბარში შედარებით შორ მანძილზე სპილენძის ნედლეულის გადაზიდვისას ცხენის გამოჩენამდე, სადაც მოსახერხებელი იქნებოდა, ეს ფუნქცია უნდა შეესრულებინა ხარს. ეს ცხოველი არქეოლოგიური მასალების მიხედვით უკვე მოშინაურებული ჰყავთ შუაბრინჯაოს ხანიდან. თანაც ვგულისხმობთ ცალფა ულლიან ხარის გამოყენებას ზედ გადაკიდებული ტყავის ტომრებით. ამას მოწმობს ის მრავალრიცხოვანი თიხისა და ბრინჯაოს ანთროპომორფული ქანდაკებები, რომელიც აღმოჩენილია კოლხეთის მთიანეთში. კოლხეთისგან განსხვავებით, აღმოსავლეთ საქართველოს გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ძეგლებზე, ბრინჯაოს საწარმოო სახელოსნოები თავის გვერდით გულისხმობს სპილენძის მადნის გადამამუშავებელ წარმოებასაც და ეს საკითხი შედარებით ადვილი გადასაწყვეტია. მითუმეტეს, როცა ძვ. წ. II ათასწლეულის დასარულიდან სპილენძის ნედლეულის ტრანსპორტირებისას აქ გულისხმობენ ცხენის გამოყენებას [ფიცხელაური 1973:92]. აღსანიშნავია, რომ ამ მხრივ კოლხეთის დაბლობის გვიანბრინჯაოს ხანის არცერთი კატეგორიის ძეგლზე (სამარხეული კომპლექსები, განძები, ნამოსახლარები) არ დასტურდება ცხენთან ან ცხენოსნობასთან დაკავშირებული ინვენტარი [ჯიბლაძე 2007: 92]. იქნებ მართებული იყოს არსებული მოსაზრება, რომლის თანახმად კოლხეთის დაბლობზე ცხენოსნობის განუვითარებლობის უკავშირებენ დაჭაობებულ ბუნებრივ გარემოს [პაპუაშვილი 1990:77-78].

აღნიშნულია, რომ სახმელეთო გზებისა და ბორბლიანი ტრანსპორტის გარეშე შეუძლებელი იყო მთისწინა ზოლიდან ბრინჯაოსა და რკინის ზოდების ჩამოტანა [Апакидзе 1991:53]. ეს მითუმეტეს მაშინ, როდესაც ბრინჯაოს ზოდების წონა ზოგჯერ აღწევს 50-100კგ. [Апакидзе 1991:53].

ამდენად სადღეისოდ არსებული მასალების მიხედვით კოლხეთში შუა და გვიანბრინჯაოს ხანაში სპილენძის მადნის ტრანსპორტირებისას ცხენის გამოყენების ფაქტი უნდა გამოირიცხოს. ჩვენთვის უფრო მისაღებია აღნიშნულ პროცესებში ხარის მონაწილეობა. სხვა საკითხია, რამდენად მოსახერხებელი უნდა ყოფილიყო კოლხეთის მთიანეთიდან ბარში სპილენძის ნედლეულის ტრანსპორტირებისას მდინარეთა ხევისპირა ან ხეობათა ფსკერზე გამავალი მოუხერხებელი საცალფეხო ბილიკებით ხარით სარგებლობა [პაპუაშვილი; ჯიბლაძე 2014:185]. თანაც ვგულისხმობთ

ცალფა ულლიან ხარის გამოყენებას ზედ გადაკიდებული ტყავის ტომრებით. ყოველ შემთხვევაში ცალფა ულლიანი ხარი უფრო მოსახერხებელი უნდა ყოფილიყო ასეთი სამუშაოების წარმოებისას. კოლხეთში ბრინჯაო-ადრერკინის ხანაში ხარი წმინდა ცხოველად-ტოტემად ითვლებოდა, რომლის კულტზე და გამწვევი ძალის გამოყენებაზე უნდა მიუთითებდეს არაერთ ძეგლზე (ფიჩორი, ოჩამჩირე, ნოქალაქევი, ვანის სატაძრო კომპლექსი, ერგეტის, ცაიშის სამაროვნები და ა.შ.) აღმოჩენილი თიხის, ბრინჯაოს ქანდაკებები, ხის სახვანელები და ა.შ. [ჩართოლანი 1996:205-206; ჯიბლაძე 2007:90; Papuashvili 2012:72, სურ. 3; პაპუაშვილი; ჯიბლაძე 2014:185].¹⁸ ამ მხრივ ძალზე საყურადღებოს წარმოადგენს ნაჩერქეზევის ყორღანულ სამარხში აღმოჩენილი ქინძისთავის შუა ნაწილში არსებული ხარის რქისებური შვერილები, რომელიც ბ. კუფტინის ვარაუდით წარმოადგენდა ოთხთვალა ეტლს შიგ შებმული ხარის პირობითი გამოსახულებით [ჯაფარიძე 1961: 173]. ასევე საინტერესოა, ბრილის აკლდამაში ბრინჯაოს საკიდზე აღმოჩენილი ხარშებმული სტილიზებული გამოსახულება [ბარამიძე 1998: 132].

ამასთან ერთად უნდა ვივარაუდოთ, რომ ბრინჯაოს მეტალურგიული წარმოების პირველადი კერებიდან მეორად კერებში სპილენძის მადნის ტრანსპორტირებისას, ამ მეტად მძიმე და შრომატევად სამუშაოებში მონაწილეობას ლებულობდენ სპეციალურად გამოყოფილი და დასაქმებული ადამიანთა ჯგუფები, რომლებიც გაერთიანებული უნდა ყოფილიყვნენ მკაცრ შრომით ორგანიზაციაზე დაფუძნებულ სასოფლო თემურ დასახლებებში. ისინი ბართან დამაკავშირებელ სამკომუნიკაციო გზებზე, სავარაუდოდ არსებული საშუამავლო პუნქტებით ერთმანეთს უკავშირდებოდნენ. ადამიანთა ერთი ჯგუფი მიიტანდა სპილენძის ნედლეულს გარკვეულ ადგილზე, რომელსაც შეენაცვლებოდა მეორე ჯგუფი და ასე სავარაუდოდ მიმდინარეობდა ეს შრომატევადი და მეტად მძიმე სამუშაოები [პაპუაშვილი; ჯიბლაძე 2014:185].¹⁹ გარე სამყაროსთან შესაძლო სავაჭრო კონტაქტებისას (ზღვისპირა ზოლში) შესაძლოა გამოყენებული ყოფილიყო ზღვის ტრანსპორტიც.¹⁹

შენიშვნები

- 1 კოლხური კულტურის არეალში აღმოჩენილი განძების შემადგენლობაში გვხვდება: (1) ერთგვაროვანი ბრინჯაოს ნივთების შემცველი; (2) შერეული სახის, რომელთა ერთ ნაწილში მხოლოდ მთლიანი ნივთებია წარმოდგენილი, უმრავლესობაში კი სხვადასხვა დანიშნულების არტეფაქტებთან ერთად მათი ნატეხები, ლითონის ზოდები, ზოგჯერ ცულის ან სხვა ნივთის დამამზადებელი ყალიბებია აღმოჩენილი; (3) განძები, რომლებიც მხოლოდ სპილენძის ზოდებს შეიცავენ [ლორთქიფანიძე 2001:181]. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ კოლხეთისგან განსხვავებით აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე განძების არ არსებობას ხსნიან ამ ორ რეგიონს შორის ერთმანეთისაგან განსხვავებული შრომის ორგანიზაციის არსებობით [ფიცხელაური 1973:91]. კერძოდ, დასავლეთ საქართველოს მაღალმთიან ზონაში მდებარე მადნის სადნობი ცენტრიდან მადნის გამოსავლების სიახლოვეს სასხმელ სახელოსნოებამდე, რომელიც ნამოსახლარს ეკვროდა, ლითონი მიდიოდა ზოდების ან შეგროვილი ჯართის სახით. აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში კი სასხმელი სახელოსნოები თავის გვერდით გულისხმობს მადნის გადამამუშავებელ წარმოებასაც, რომელიც კიდევ ერთხელ უნდა დაასტურებდეს იმ მოსაზრებას, რომ იორ-ალანის ტერიტორიაზე გამადნების ადგილიდან დაშორებულ ლითონის წარმოებამდე ხდებოდა ტექნიკურად გამდიდრებული მადნის გადაზიდვა [ფიცხელაური 1973:91].
- 2 განძების ჩამონათვალს უნდა მივმართო სოფ. ომაროშარში (მდ. კოდორის ხეობა წელი) 8 კოლხური ცულისაგან შემდგარი გვიანბრინჯაოს ხანის განძი [ჩართოლანი; ცინდელიანი 2010:8-9]. ასევე გალის რ-ნის სოფ. ფირორის №4 სამოსახლო ბორცვზე ძვ. წ. VIII-VII სს-ების ფენაში გამოვლენილი ბრინჯაოს ნივთებისაგან შემდგარი განძი, რომელიც შეიცავდა ო. ჯაფარიძის კლასიფიკაციის მიხედვით I ტიპის ორი კოლხურ ცულს, 2 სატეხს; 2-თოხსა და სამ ხვიას [ჯებლაძე 2007:18].
- 3 ევროპის კონტინენტზე გვიანბრინჯაოს ხანაში, სხვადასხვა ადგილებში და განსხვავებულ პირობებში, მრავლადაა აღმოჩენილი ბრინჯაოს ნივთებისგან შემდგარი განძები [ლორთქიფანიძე 2001:180; Хансен 2013:279-286; Хензел 2013:232-235; Müller; Götter 2002; Primas; Perniska1998]. საინტერესოა, რომ ევროპაში ოქროს (ასევე ვერცხლის) დისკებისგან შედგენილ განძებს ვხვდებით ძვ. წ. Vათასწლეულის მეორე ნახევარში (უნგრეთი, ტრანსილვანია-მოგრადი, ტერიორლოკა) [Хансен 2013a:79-82]. აქვე გავაგრძელებთ, რომ სხვადასხვა ლითონისგან (სპილენძი, ბრინჯაო, ოქრო, ვერცხლი) და არტეფაქტებისაგან შემდგარი 30 კომპლექსი (განძები-დაახლოებით 31905 ლითონის ნივთი) ძვ. წ. IV-II ათასწლეულებში ცნობილია ანატოლიიდან [Авилова 2014:27-29, tab. I; 2015:49-65]. აქ განძების შემადგენლობაში მორფოლოგიურ-ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით გამოყოფენ ოთხი ჯგუფის ნივთებს: მზა ნაწარმი, მეტნაკლებად სტანდარტული ფორმის ნამზადები, ზოდები და ლითონის ჯართები [Авилова 2014:27]. ძვ. წ. IVათასწლეულის (ადრებრინჯაოს ხანა) ურუქული პერიოდისათვის დამახასიათებელია ფასეული ნივთების კავშირი სატაძრო კომპლექსებთან, რომელთაც აკონტროლებდა ტაძრის ადმინისტრაცია. იარაღები გამოიყენებოდა როგორც პირდაპირი მნიშვნელობით, ასევე იგი იყო მაღალი სოციალური რანგის მატარებლის ნიშანი [Авилова 2014:30]. მრავალრიცხოვანი განძები ცნობილია შუაბრინჯაოს ხანაში (ადრებრინჯაოს პერიოდი) ტროა II-დან (A, K, S, D, Q, C, F, O 19, თუ 21 განძი), რომლებიც ბრინჯაოს იარაღებთან ერთად შეიცავდა ძვირფასი ლითონის ნივთებს, მათ შორის ოქროსა და ვერცხლის ზოდებს, სხვადასხვა ნამზადებს და ა. შ. [Тренслер 1996:197-240; 2013:140-155;

- Авилова 2014:30]. ამ პერიოდის ძვირფასი ლითონისაგან შემდგარი განძები ასევე ცნობილია მახმადტლარში, ესკიაპარში. ტროა II-ის განძები შეიცავდნენ ქალაქ სახელმწიფოების ხელისუფლების მმართველების სიმბოლოებს. ანატოლიის გვიანბრინჯაოს ხანის განძებისათვის კი დამახასიათებელია ლითონის ნივთების პრაქტიკულ გამოყენება, როგორც ვაჭრობის საგნის. აქ გვიანბრინჯაოს ხანის განძებში იშვიათად გვხვდება ძვირფასი ლითონი და ძირითადად დომინირებს ბრინჯაოს იარაღები [Авилова 2014:31].
- 4 ბრინჯაოს ნივთებისაგან შემდგარი განძები ცნობილია ყობანურ კულტურაში (ცენტრალურ და დასავლეთ ჯგუფებში: ნოვოჩერკასკი, ბეშთაუ, კლინიარი, კიზაურანი, ბილიმსკი, მუკულანსკი სოვეტსკოე, პრიუდი, ყემტალინსკი და სხვ. [Козенкова 1996:9, 13]. აქაც მიღებულია განძების დაკავშირება ლითონჩამომსხმელ ოსტატთან, რომელთაც სამშრობის დროს მალავდნენ [Крупнов 1960: 320]. ყობანური კულტურის ცენტრალურ ლოკალურ ვარიანტში ბრინჯაოს განძებს სხვადასხვა ხასიათად ყოფენ: მხედრის აღჭურვილობის, სამლოცველოსთან დაკავშირებულსა და ა. შ. [Козенкова 1996:43]. აქვე შეენიშნავთ, რომ განძების უმრავლესობა თავმოყრილია ამიერკავკასიის დასავლეთ ნაწილში და მიიწევენ ანატოლიის მსახლვრე რაიონებისკენ. სავაჭრო გზები მიემართება უღელტეხილების გავლით წინაკავკასიისკენ, სადაც გრძელდება მადნის შუტანა კაფანის, ქედაბეკის, ბელოქნისა და შამგულის საბადოებიდან. ამიერკავკასიული განძები ნაპოვნია უკრაინასა და მოლდავეთში [Кушнарева 1973:36-37]. ფიქრობენ, რომ მელითონის ბრინჯაოს განძები რეკონსტრუქციის პროცესების, კულტურის განვითარების, გზების, კავშირების მიმართულებების, ან ლითონდამუშავების რესურსების მაჩვენებელი უნდა იყოს. აღნიშნავენ, რომ განძების კარტოგრაფირება გვეხმარება დავადგინოთ მათი გაცვლების გზები [Козенкова 1996:43].
 - 5 ყუამილიანი ცულების დიდი ნაწილი აღმოჩენილია XX სს 50-იან წლებში გრუ-ზოლოტოს მიერ ლასილას ხეობაში ოქროს მოძიებისას. მუშების ცნობებზე დაყრდნობით, როგორც აღნიშნავენ, ამ სამუშაოების შედეგად გამოვლენილი ბრინჯაოს ნერაქვი დაკარგულა [ხვისტანი 2011:25-29, 33-34].
 - 6 საყურადღებოა, რომ სვანეთში (სოფ. კალა) მხოლოდ ერთ შემთხვევაშია მოხსენიებული განძის აღმოჩენა [ქორიძე 1965:47; ლორთქიფანიძე 2001: 103]. არადა, ამ რეგიონში ხშირადაა შემთხვევით გამოვლენილი ბრინჯაოს ერთგვაროვანი ნივთები, რომელთა აღმოჩენის ვითარება ძირითადად თვითმზილველთა მონაცემებზეა დამყარებული. ზოგჯერ რამდენიმე პიროვნების ხელში გავლილი ერთ-დაიგივე არტეფაქტი ხვდებოდა მუზეუმის ფონდებში. ცხადია, ასეთ შემთხვევაში მათი აღმოჩენის ვითარებაზე სრულყოფილი მონაცემები არ გვექნება. იქნება გარკვეული ცდუნება იმისა, რომ სვანეთში შემთხვევით აღმოჩენილი ბრინჯაოს ინვეტარის სახით ხომ არ გვექვს საქმე განძებთან, ან განძის ნაწილთან [კვიციანი; ჯიბლაძე 2015: 53]
 - 7 ევროპაში გვხვდება ერთნაირი შედგენლობის განძების მიწაში ჩაფლვა. ზოგჯერ დასტურდება განძები, რომლებიც შედგება დაუზიანებელი ნივთებისგან, ხანდახან კი ჩაფლვის მომენტში ხდება მათი სპეციალურად დამტკრევა. დასტურდება განძები, რომლებიც მხოლოდ ბრინჯაოს ფრაგმენტებისგან (ცულები, სამაჯურები, ნამგლები, მახვილები, შუბისპირები და სხვ) შედგება [Хансен 2013:284]. აქაც ზოგიერთი მკვლევარი ბრინჯაოს ნივთებისგან შედგენილ განძებს უკავშირებს ვაჭრების საიდუმლოს, რომლებმაც ვერ შეძლეს განძის დაბრუნება საომარი მდგომარეობის გამო; ანდა მჭედლების მიერ ლითონის ნივთების შემცველად გადანახვას [Хансен 2013:286, 288].
 - 8 ეს ფაქტი ეხება ასევე სხვა კატეგორიის ძეგლების განსაზღვრასაც. მხედველობაში გვაქვს ლენტეხის ტერიტორიაზე გამოვლენილი ბრინჯაოს ორი ყუამილ-

- იანი ცული, ღრმად შეჭრილი რკალით. ეს ნივთები აღმოჩნდა ერთი მეტრის სიღრმეში რესტორან „ლილეს“ მშენებლობის დროს. მუშების გადმოცემით ამ ცულეებთან ერთად დაფიქსირებულია ადამიანის ჩონჩხის ფრაგმენტები და თიხის ჭურჭლის ნატეხები, რომელსაც ვერ მიუღწევია სპეციალისტებამდე [ჩართოლანი 1996:51]. ცხადია, ეს ფაქტი დიდი ალბათობით უნდა ადასტურებდეს აქ სამარხის, ან სამაროვნის არსებობას, რომელიც დღემდე სვანეთის ტერიტორიაზე უცნობია (მხედველობაში გვაქვს ადრე და შუაბრინჯაოს ხანის ამ კატეგორიის ძეგლები).
- 9 ცნობა მოგვანოდა არქეოლოგმა რ. პაპუაშვილმა
- 10 ჭუბურხინჯის განძი აღმოჩნდა 1890 წელს, რომელიც ჩალაგებული ყოფილა ბრინჯაოს სამი ფურცლისაგან შემკრულ ლურსმნებით დაჭედებულ ცილინდრული ფორმის ჭურჭელში. განძში შედიოდა ოქროს ორი სპირალური საყურე, ერთი აგრაფის საკიდი, ერთი ორნამენტირებული ფირფიტა, ორივე მხარეს ნაჭედი მცირე ზომის სამი ოქროს ზოდი, ოქროსა და ვერცხლის ოთხკუთხა განიკვეთიანი ჯოხები (დმ. 1, 25 სმ, სიგრძე 6, 5სმ) , ვერცხლის 10 უძირო ჭურჭელი, ბრინჯაოს ორი ზოდი, ერთი უცნობი ლითონის პატარა ნატეხი, სეგმენტური იარაღის 4 ნატეხი, სპილენძის სამი ფირფიტა, ოქროს ორი სპირალური საყურე [აფაქიძე 2006:78-79; Иессен 1935:126]. ი. გაგომიძის მონაცემები, რომელმაც საგანგებოდ იმუშავა ჭუბურხინჯის მასალებზე, არ ემთხვევა ზემოთ მოყვანილ ჩამონათვალს. კერძოდ, მისი მიხედვით ჭუბურხინჯის განძი შეიცავდა სპილენძის 6 ზოდს, 2 სეგმენტურ იარაღს, ვერცხლის 9 და ოქროს 3 ოთხკუთხა დადამლულ ზოდს [გაგომიძე 1976:18]. საინტერესოა, რომ უფრო მოგვიანო პერიოდში ოქროს 7 ზოდი ასევე ცნობილია ვანის ნაქალაქარზე. აქედან ოთხი ზოდი, სხვა ამ ძვირფასი სამკაულებთან ერთად, ცნობილია ძვ. წ. V-III სს-ების №6, 11, 16, 24 სამარხებში [ჭყონია 1988:9; 2012:5]; ორი კი არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩნდა ელინისტური ხანის კულტურულ ფენაში [ჭყონია 2012:5]. სამარხებში გამოვლენილი ზოდები ჩამოსხმულია, ისინი ფორმითა და ზომით სხვადასხვაგვარია. ვანის ნაქალაქარზე არსებული მონაცემებით მივიან იმ დასკვნამდე, რომ აქ ფუნქციონირებდა ოქრომჭედლობის სახელოსნო [ჭყონია 2012:10]. აქვე გვინდა გავაგრძელოთ, რომ ნოსიორის განძი აღმოჩნდა 1926 წელს, რომელიც შეიცავდა B დისკოსებური მოყვანილობის ბრინჯაოს 13 ზოდს და ზოდის ნატეხებს, სფერული ფორმის კარგად გაპრიალებულ, სარდიონის მძივებს (12 ცალი-ი. გაგომიძის მონაცემებით კი ამ ტიპის მძივები 196 ერთეული ყოფილა) , ოქროს გველის ქანდაკებას, ოთხნახნაგა საკიდს, ოქროს მრგვალი ფუევი ნივთს, ოქროს ნატეხს ლომის დაღებულ პირის გამოსახულებით (მთლიანობაში აქ ოქროს 14 ნივთი ყოფილა წარმოდგენილი) , ვერცხლის დაფანჯრულ ლილეხა (8 ერთეული) და ვერცხლის წნულორნამენტაინი სამკაულის ნატეხს [გაგომიძე 1976: 12-18]. დ. ქორიძის აზრით, ნოსიორის კოლექციაში არსებული დიდი რაოდენობით ზოდების გათვალისწინებით განძთან უნდა გვეკონდეს საქმე [ქორიძე 1965:46; Куптин 1949: 170-171].
- 11 კოლხეთთან მიმართებაში საინტერესოა სად და როდის ჩნდება ყველაზე ადრეული ზოდები; როგორი ფორმისა და ლითონისგან იყო დამზადებული, ან რა ფუნქციის მატარებელი უნდა ყოფილიყვნენ ისინი. სპილენძის ზოდების გაცვლა-გამოცვლები საკმაოდ ადრეული პერიოდიდან იღებს საფუძველს. ძველ აღმოსავლეთში იწყება უბედის ხანიდან, მაგრამ მასობრივ ხასიათს ლებულობს გვიანურუქული და ჯემდეთ ნასრის ეპოქებიდან. ადრეული ზოდები შესაძლოა იყოს ნებისმიერი ლითონისაგან დამზადებული:მაგ. ძვ. წ. IV-II ათასწლეულებში სპილენძ-ბრინჯაოს, ოქროსა და ვერცხლის ზოდები გავრცელებული ყოფილა ახლო და შუა აღმოსავლეთის ტერიტორიებზე (ანატოლია, მესოპოტამია, პალესტინა, ირანი, ცენტრალური აზია) [Авилова; Терехина 2006:14]; (1) ძვ. წ. III ათასწლეულის შუა ხანებიდან (სუზა, ალტინ-თეფე, მახმეტლარი და სხვ)

- გვხვდება სპილენძის ბრტყელი, დისკოსებური ამოზურცული ფორმის ზოდები. ასეთი სახის ზოდები გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში ევროპაშიც დასტურდება [Хардинг 2013:173]; (2) გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში ვრცელდება მსხვილი სტანდარტული ფორმის გაჭიმული ხარის ტყავის ფორმის მაგვარი ზოდები, რომელთა წონა აღწევდა 30 კგ-მდე [Авилова; Терехина 2006:16-18, სურ. 3²⁴⁻²⁶]; (3) სტანდარტული ზომის მცირე ფორმის სწორი ზოდები (სალესის ქვის ან წნულის, ძელაკის მაგვარი). ისინი გამოვლენილია არსლან-თეფეზე (VI-D ფენა) , ურში, თელ-ედ-თხიბაში. ამიერკავკასიაშიც ვხვდებით ასეთი ფორმის ზოდებს, მტკვარ-არაქსის დროინდელ იგდირის-მალაქლუს ნამოსახლარზე, (მდ. არაქსის მარჯვენა სანაპირო) , ლეილა-თეფეზე [Авилова; Терехина 2006:21; 2010:9, სურ. 1⁸⁻¹¹; Кушнарєва 1993:221 სურ. 31¹⁴; Ахундов; Махмудова 2008:65; Купфин 1944:79, ტაბ. XIX^{7,9}]. ასევე დასტურდება ლითონის ჩამოსახმელები, რომლებიც მინაბაძებია იარაღების, მაგრამ სატარე ხეველი ან სამუშაო პირი არ გააჩნიათ [Авилова 2010:9 სურ 1, ^{14, 15}]. გვხვდება სწორი ზოდების (ძელაკის მაგვარი) ჩამოსახმელი ყალიბების ნეგატივები (არსლან-თეფე VI-D ფენა, თეფე გავრა-ოთხი ზოდის ჩამოსახმელი ყალიბი). გამოთქმულია მოსაზრება, რომ ასეთი ტიპის სტანდარტული ფორმის ზოდები ხელსაყრელი უნდა ყოფილიყო გადაზიდისთვის და მათ დამზადებას უნდა ჰქონოდა მასობრივი ხასიათი; (4) სპილენძის რგოლისებური ფორმის ზოდები, რომლებიც ხელსაყრელი ფორმა იყო გაცვლებისთვის. ასეთი ტიპის ზოდებს ვხვდებით ადრებრინჯაოს ხანის კომპლექსებში (ძვ. წ. IV ათასწლეული). მაგალითად, ნახალ-კანაში (პალეს-ტინა) აღმოჩენილია ურუქის სინქრონული პერიოდის 8 მასიური ფორმის ოქროს რგოლი (120-130 გრამი). ძვირფასი ლითონისაგან დამზადებული ზოდები (ოქრო, ვერცხლი) ასევე გვხვდება შუაბრინჯაოს ხანის (ძვ. წ. III ათასწლეულის შუა ხანები) ტროა II და III-ში (A, F, R განძები); (5) ზოგიერთ რეგიონში (ირანი, თურქმენეთი და სხვ.) დასტურდება დიდი ზომის, საკინძების ფორმის მაგვარი ზოდები, რომელთაც ზოგჯერ ბრინჯაოს ლეროები თავში ცრემლისებურად გას-ქვლებული აქვთ [Авилова; Терехина 2006:25, სურ. 6^{-10, 11, 18, 19}]. (6) ცენტრალურ ევროპაში (ჩეხეთი, ბავარია, ავსტრია) გვხვდება რგოლისებური და წნულის ფორმის მაგვარი ზოდები. ორივე შემთხვევაში ზოდებს უკეთებდენ ყურებს, ალბათ უფრო მოხერხებული ტარებისათვის [Хардинг 2013:173].
- 12 ამ მხრივ საყურადღებოა ამირანის გორას ერთ-ერთ სამარხში აღმოჩენილი ტყვის სამსპირალიანი ზოდი, რომელიც ზოგს ჰგონია ტყვის ზოდი [ლამბაშიძე და სხვ. 2010:12]. საინტერესოა, რომ გუდაბერტყას ნამოსახლარზე ს. ნადიმაშვილის მიერ გამოვლენილ სპილენძის პატარა ნამზადებს უწოდებენ ზოდებს [აბესაძე 2011:103 წ.].
- 13 თავის დროზე მ. ივაშჩენკომ გამოთქვა მოსაზრება, რომ სეგმენტური იარაღი იყო ფულის ფუნქციის მატარებელი [Ивашенко 1935: 50]. შემდგომში ეს მოსაზრება განავითარეს [Лордкипанидзе 1978:111-112]. ფიქრობენ, რომ სეგმენტურ იარაღს, როგორც ბრინჯაოსგან დამზადებულ საგანს და არა როგორც ნივთს, შეეძლო შეესრულებინა ფულის ფუნქცია [მიქელაძე 1985:27] თუმცა სეგმენტებში ვერც გაზომვებისა და აწონის ცდების შედეგად ვერავითარი კანონზომიერება ვერ იქნა დადგენილი [მიქელაძე 1985:27; Лордкипанидзе 1978: 112]. ამასთან ერთად მიდიან იმ დასკვნამდე, რომ როგორც საცვლელ ქვევილენტს სეგმენტს სატარეზე მხრებს არ გაუკეთებდენ, ან ბარის ფორმას არ მისცემდენ. აქიდან გამომდინარე ეთანხმებიან იმ მკვლევარებს, რომლებიც სეგმენტებს მიიჩნევენ სასოფლო-სამეურნეო იარაღად, რომლის სასარგებლოდ უნდა მეტყველებდეს მისი თანხვედრები განძებისა და სამარხებისათვის დამახასიათებელი თოხების გავრცელების არეულებთან [მიქელაძე 1985:27]. თუმცა ამასთან ერთად არ გამორიცხავენ სეგმენტების ნაირგვარ დანიშნულებასაც.

- 14 ანატოლიაში არაერთი სპილენძის მდიდარი საბადოა, რომლებიც შესაძლოა შორეულ წარსულში პოტენციალურად დამუშავების ობიექტები ყოფილიყო: ერგანი მადანი (აღმოსავლეთ ანატოლია), სადაც იყო როგორც სუფთა მეტალურგიული სპილენძი, ასევე სულფიდური სპილენძის მადანი; ქებანის რნი (ევფრატის ზემო წელი), სადაც იყო გვიან ურუქული პერიოდის სპილენძის, ტყვიის საბადოები (აღმოსავლეთ ანატოლია); ანატოლიის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპირო (სპილენძისა და ვერცხლის საბადოები); კიხლუ (ანატოლიის ზეგანი), სულფიდური სპილენძის მადანი (გვიან ენეოლითი-შუაბრინჯაოს ხანა); თავრის (ბალკადაგი, კესტელი) კალის შემცველი საბადოები და ა. შ [Авилова 2009:61-64; 2010:5-6].
- 15 ჩოლოქ-ოჩნომურის ორმდინარეთის ნამოსახლარების მაგალითზე გამოთქმულია მოსაზრება, რომ ნამქედური თავის არსებობის ადრეულ პერიოდში ორგანიზაციას უკეთებდა რკინის წარმოების კერების მომარაგებას ნედლეული მასალებით და იგი იყო ძირითადი ცენტრი, რომელიც ანხორციელებდა ლითონის ნაწარმის ექსპორტს [Микеладзе; Хахуთაიшвили 1985:29]. რკინის გატანა მეზობელ პრიონციებში შეეძლო განეზოტაციელებინათ გაბატონებული თემის მეთაურის ხელმძღვანელობით; საერთაშორისო ვაჭრობაში კი შუამავლის მეშვეობით [Микеладзе; Хахуთაიшвили 1985:30]. ამდენად თემი, რომელიც ცხოვრობდა ნამქედურის ნამოსახლარის ჯგუფში, შესაძლოა ჩაბმული ყოფილიყო ლითონით ვაჭრობაში
- 16 ამ მხრივ საინტერესოა ბრილის უფრო მოგვიანო პერიოდის სამარხულ კომპლექსებში გამოვლენილი ეგვიპტური, ფინიკიური და სხვა წარმომავლობის ნაწარმი [გობეჯიშვილი 1952:104].
- 17 ძვ. წ. III ათასწლეულის ბოლოსა და ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისში ანატოლიაში – კაპადოკიაში არსებობდა დიდი სავაჭრო ფაქტორია ქანიში, რომელიც აღმოჩნდა ქიულ-თეფეს გათხრებისას [ჯაფარიძე 2013:21]. ქანიშის არქივებში აღმოჩენილი იქნა დაახლოებით 100 კერძო არქივის კომერციული მიმონერები, რომელიც შესწავლილია მკორე რაოდენობით და იძლევა მდიდარ ინფორმაციას. გამოვლინდა თიხის ფირფიტებზე ლურმწული დამწერლობით შესრულებული ვაჭრობის ამსახველი არქივის დოკუმენტები. ქანიშში იყო პუნქტი სპილენძის დამუშავებისა და გასაღების. სპილენძი იყიდებოდა სხვადასხვა ინვეტარის სახით: ცულები, ნამგლები და სხვ. ლითონი იყო არაა მარტო საქონელი, არამედ გადახდის საშუალება, ფულის ექვივალენტი [Кушнарева 1973:33]. აღნიშნავენ, რომ ქანიშში, ასეთი მაღალი განვითარების ცენტრს გავლენა უნდა მოეხდინა მეზობელ ქვეყნებზეც და ვაჭრობაში არ შეიძლება ჩაბმული არ ყოფილიყვნენ სამხრეთ კავკასიური ტომები, რომლებიც ფლობდნენ მდიდარ სპილენძის საბადოებს [Кушнарева 1973:35]. აქ ვაჭრები ცხოვრობდნენ კომპაქტურად დასახლებებში. ქალაქ ქანიშის თემს სათავეში ედგა მმართველი [История Древнего востока 1988:46]. ცნობილი იყო მჭედლების ხელმძღვანელი, ბრინჯაოს ჩამოსხმელების ხელმძღვანელი. ასევე ქსოვილის, სანყობების, ზაზრისა და სხვა ხელმძღვანელები. ქანიშის ტექსტების მიხედვით ცნობილია 11 სავაჭრო ორგანიზაცია. საქონლის გადატანა ზემო მესოპოტამიიდან და სირიიდან ქანიშში ხდებოდა სახედრების ქარავენებით [История Древнего востока 1988:55]. სპილენძის მადნის გადაზიდვისათვის იყენებდნენ აქლემებსა და სახედრებს (მაგალითად, დამასკის სახედარი), რომელიც მეტი გამძლე იყო და შეეძლო 60 კგ. ზოდი წაეღო დღეში 35 კმ მანძილის გავლით [Кушнарева 1973:37]. ხმელთაშუაზღვისპირეთში ვაჭრობაში დიდ როლს თამაშობდა კვიპროსი, რომელიც ყოფილა უმსხვილესი ლითონის მწარმოებელი და მიწოდებელი როგორც ეგვიპტის ზღვის აუზის, ასევე ახლო აღმოსავლეთის თითქმის ყველა დიდ ქალაქის [Хардинг 2013:173].
- 18 გამოთქმულია მოსაზრება, რომ ბრინჯაოს ხანაში იყვნენ ე. წ. მოხეტიალე მეტალურგები, რომლებიც თავიანთ ნაწარმს ზურგით ატარებდნენ საარსებო პროდუქტებზე გადასაცვლელად [გობეჯიშვილი 1970:282]. ამ ფაქტთან გარკვეული პარალელის გავლება შეიძლება თებეს სამარხზე შესრულებული

- გამოსახულებით, სადაც სირიელ მოხარკეს მხრით გადააქვს ზოდი [Авилова; Терехина. 2006:рис 3-27]. ასევე ხარის ტყავის ფორმის მაგვარი ზოდის მხრით გადატანის პროცესია გამოსახული კვიპროსზე [Хардинг 2013:173, სურ. 2].
- 19 კოლხეთში გემების არსებობაზე უნდა მიუთითებდეს აპოლონიუს როდოსელის მონაცემები არგონავტიკიდან, როდესაც მეფე აიეტმა იასონს დაადევნა თავისი ფლოტი [აპოლონიუს როდოსელი 1975:53, 162]. ფიქრობენ, რომ კოლხეთში გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში გადადგილებისა და ტვირთზიდვის გადაზიდვის საშუალება იყო მდინარეების არტერიების ქსელი [Апакидзе 1991:52]. გადადგილების საშუალებად ასევე იყენებდნენ სხვადასხვა ზომის ნავეებს. ქსენოფონტეს მიხედვით მოყვანილია ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მოსახლე კოლხური ტომების მოსინიკების მონაცემები. საუბარია, რომ მეორე დღეს ისინი (მოსინიკები) მოცურდნენ 300 ნავით, სადაც თითოეულ მათგანში იჯდა 3-4 კაცი [მიქელაძე 1967:99]. ამასთან ერთად ძირითადი გადადგილების საშუალება იყო სახმელეთო გზები, ასევე შესაძლოა ესარგებლათ ბორბლიანი ტრანსპორტიცა, რომლის არსებობა კოლხეთში დასტურდება უფრო ადრეულ პერიოდებში [Апакидзе 1991:52; Микеладзе; Хахуаишвили 1985:22]. ამის მაგალითად მოყავთ ცნობა არგონავტიკიდან, როდესაც მეფე აიეტი დაჯდა ორბორბლიან ეტლზე და წავიდა იასონთან, სადაც იგი მიწაში თესდა [აპოლონიუს როდოსელი 1975: 150; Апакидзе 1991:52].

Leri Jibladze

On some issues of Late Bronze - Early Iron Era Treasures of Colchis Culture Summary

The Colchis culture treasures of late bronze-early iron are revealed nearly in 150 items (outside of Colchis are revealed 16 of such items). There had been expressed many opinions about the functions of such category monuments. But there are some issues which are less considered. This may be belonged to the following: due to the factors that the monuments of such categories very often are investigated by unprofessional during the cultivation of the lands less attention is drawn to the circumstances of treasure discovery; I think consequence from some reality may be delayed monuments buried date in depth for the end of the early bronze era; in the special literature almost isn't covered the facts whether the bronze bars were exchanged between Colchis mountain and plain population so called early cash equivalents. In the Old Eastern World (Mesopotamia, Anatolia and others); this model had already been operated from the beginning of III decade BC and why can't it existed in Colchis already from the end of middle bronze era and from the beginning are of later bronze stage. The issue of metal raw materials transportation in the metal-processing hearths from the first origin hearths of bronze production is less discussed. This work is dedicated to the answers exactly on the mentioned questions.

ლიტერატურა

- აბესაძე ც. 2011: ბრინჯაოს მეტალურგიის ისტორიიდან ძველ საქართველოში, თბილისი
- აფაქიძე ჯ. 1985: გვიანბრინჯაო-ადრერკინის ახალი ძეგლი ცენტრალური კოლხეთიდან ძმ. № 70, თბილისი, გვ. 60-68
- აფაქიძე ჯ. 1988: ცენტრალური კოლხეთის არქეოლოგიური რუკა (ძვ. წ. XVI-XVსს) (სამაროვნები, განძები, მეტალურგიული სახელოსნოები) , ძმ, N3, თბილისი, გვ. 46-52
- აფაქიძე ჯ. 2001: კოლხური კულტურის სანარმოო-ნამოსახლარების დათარიღებისათვის, ძიებანი №7, თბილისი, გვ. 14-31
- აფაქიძე ჯ. 2006: აფხაზეთის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის განძები. აფხაზეთი I, არქეოლოგიური ძეგლები და პრობლემები, თბილისი, გვ. 66-88
- ბარამიძე 1998: აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ძვ. წ. II-I ათასწლეულის პირველ ნახევარში (ძირითადი პრობლემები). სადოქტორო დისერტაცია, თბილისი, ხელნაწერი.
- გაგოშიძე 1976: მასალები ქართული ოქრომჭედლობის ისტორიისათვის (ჩვენს წელთაღრიცხვამდე I ათასწლეულის I ნახევარი) , სსმმ XXXII-B თბილისი, გვ. 5-30
- გობეჯიშვილი გ; ჯაფარიძე ო. 1959: გვიანბრინჯაოს ხანა დასავლეთ საქართველოში, საქართველოს არქეოლოგია (რედ. ა. აფაქიძე) , თბილისი, გვ. 129-154.
- გობეჯიშვილი გ. 1970: გვიანბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანა საქართველოში. სინ I, თბილისი, გვ. 243-311
- გოგაძე ე. 1980: კოლხური კულტურა. ქსე 5, თბილისი, გვ. 597-598
- გოგაძე ელ; დავლიანიძე ც; ფანცხავა ლ; ლომიძეშვილი დ. 2010: ქვის სანარმოო ნამოსახლარები კოლხეთიდან, ძიებანი №19, თბილისი, გვ. 160-167
- ინანიშვილი გ; მაისურაძე ბ; გობეჯიშვილი გ. 2010: საქართველოს უძველესი სამთამადნო და მეტალურგიული წარმოება (ძვ. წ. III-I ათასწლეულებში) , თბილისი.
- კალანდაძე ალ. 1954: სოხუმის მთის არქეოლოგიური ძეგლები, სოხუმი.
- კახიძე ა; მამულაძე შ. 2000: ჭოროხის აუზი კოლხური კულტურის უძველესი კერა, ბათუმი
- კვიციანი; ჯიბლაძე ლ. 2015: უახლესი არქეოლოგიური აღმოჩენები სვანეთში (ლითონის არტეფაქტები) , თბილისი.
- ლორთქიფანიძე ოთ. 2001: განძები კოლხურ ბრინჯაოს კულტურაში (ფუნქციის დეფინიციისა და კულტურულ-სოციოლო-

- გიური ინტერპრეტაციის (ცდა). კავკასია ნეოლით-ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიის საკითხები. ძიებანი, დამატება №6, 178-194.
- მიქელაძე თ. 1967: ქსენოფონტეს ანაბაზისი, თბილისი
- მიქელაძე თ. 1985: კოლხეთის ადრერკინის ხანის სამაროვნები, თბილისი
- პაპუაშვილი რ; ჯიბლაძე ლ. 2014: ბრინჯაოს მეორადი მეტალურგიული ნარმოების ცენტრი ყულევის ნამოსახლარიდან, ძიებანი, № 22, გვ. 178-191
- რამიშვილი ალ. 1974: კოლხეთის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, ბათუმი
- როდოსელი ა. 1975: არგონავტიკა, თბილისი (რედ. ურუშაძე ა.)
- სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები 2007: აჭარა, ტომი I, თბილისი, გვ. 135-143
- საქართველოს არქეოლოგია 1959: თბილისი
- სახაროვა ლ. 1976: ბრინჯაოს განძები ლეჩხუმიდან, თბილისი
- ფიცხელაური კ. 1973: აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები (ძვ. წ. XV-VIII სს.), თბილისი
- ფიცხელაური კ. 2012: სამხრეთ კავკასია, წინა აზია, ჩრდილო შავიზღვისპირეთი და ევროპა ენეოლით-ბრინჯაოს ხანაში-არქეოლოგიური კულტურათა დინამიკა. საქართველოსა და კავკასიის ისტორიისა და არქეოლოგიის საკითხები, თბილისი გვ. 64-88
- ქორიძე დ. 1965: კოლხური კულტურის ისტორიისათვის, თბილისი.
- ქორიძე დ. 1968: ლიხნის განძი და კოლხურ-ყობანური ცულების გენეზისის საკითხისათვის. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, 25-B თბილისი, გვ. 15-30
- ლამბაშიძე ი; მინდიაშვილი გ; გოგოჭური გ; კახიანი კ; ჯაფარიძე ი. 2010: უძველესი მეტალურგია და სამთო საქმე საქართველოში ძვ. წ. VI-III ათასწლეულებში, თბილისი.
- ხვისტანი რ. 2011: იფარის სიძველეები, თბილისი
- ჭყონია ა. 1988: ოქროს სამკაულები ვანის ნაქალაქარიდან, ვანი VI, თბილისი
- ჭყონია ა. 2012: ოქრომჭედლობის სახელოსნოს ნაშთები ვანის ნაქალაქარზე, იბერია-კოლხეთი, №8, თბილისი, გვ. 5-16
- ჩართოლანი შ. 1977: სვანეთის ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი
- ჩართოლანი შ. 1996: ძველი სვანეთი, თბილისი
- ჩართოლანი შ; ცინდელიანი მ. 2010: კოდორის ხეობის,,დალ-

- ის@“მხარის არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი
 ჯაფარიძე ო. 1950: ცხინვალის განძი, სსმმ, XVI-B, თბილისი, გვ.
 99-107
- ჯაფარიძე ო. 1975: რეცენზია თ. მიქელაძის ნაშრომზე-თ. ს. უ.
 შრომები, 162 (არქეოლოგია, კლასიკური ფილოლოგია).
 თბილისი გვ. 137-144
- ჯაფარიძე ო. 1961: ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის
 ნარმოების ადრეულ საფეხურზე, თბილისი
- ჯაფარიძე ო. 1998: ქართველი ტომების ეთნოკულტურული ის-
 ტორიისათვის ძველი წელთაღრიცხვით მესამე ათას-
 წლეულში. თბილისი
- ჯაფარიძე ო. 2003: საქართველოს ისტორიის სათავეებთან,
 თბილისი
- ჯაფარიძე ო. 2009: შიდა ქართლის უძველესი წარსულიდან,
 თბილისი
- ჯაფარიძე ო. 2012: იორ-ალაზნის ორმდინარეთი გვიანბრინჯაოს
 ხანაში. საქართველოსა და კავკასიის ისტორიისა და
 არქეოლოგიის საკითხები. ილიას სახელმწიფო უნივერ-
 სიტეტი, თბილისი, გვ. 29-33
- ჯაფარიძე ო. 2013: ბრინჯაოს ინდუსტრიისათვის უძველეს საქა-
 რთველოში, თბილისი
- ჯიბლაძე ლ. 2007: კოლხეთის დაბლობის ძვ. წ. III-II ათას-
 წლეულების ნამოსახლარები. თბილისი
- ჯიქია ლ 1978: გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის ძეგლები
 ქუთაისის მუზეუმიდან მასალები III, თბილისი 1978,
 გვ. 143-171, ტაბ. I-VIII
- Авилова Л; Терехина Н. 2006: Стандартные слитки металл на ближнем
 востоке в эпоху Энеолита- бронзового века, КСИА 220,
 Москва, стр. 14-32
- Авилова Л. 2009: Металлопроизводство древней Анатолии . Специ-
 фика региона. КСИА. вып 223, Москва, стр. 48-84
- Авилова Л 2010: Обмен металлов на ближнем Востоке в раннем и
 среднем бронзовом веке, РА N1, Москва, стр. 5-14
- Авилова Л. 2014: Анатолийские клады металлических изделий (Эпохи
 раннего металла . Анализ состава комплексов) , КСИА
 236, Москва стр, 26-32,
- Авилова Л. 2015: О слитках металла из анатолийских кладов (эпоха
 бронзы) , КСИА, 238, Москва, стр. 49-68
- Апакидзе Д. 1991: Центральная Колхида в эпоху поздней бронзы-
 раннего железа, Тбилиси

- Ахундов Т; Махмудова В. 2008: Южный Кавказ В Кавказско-преднеазиатских процессах IV тыс. до . н. э. Баку
- Воронов Ю. 1969: Археологическая карта Абхазии, Сухуми
- Иессен А 1935: К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе. ИГАИМК 120 , М-Л , стр. 7-216
- Иессен А, 1935а: Оливо Кавказа. ИГАИМК 110 , М-Л , стр. 198-205
- История Древнего востока 1988: Москва
- Козенкова В 1996: Культурно-исторические процессы на Северном Кавказе в эпоху поздней бронзы и в раннем железном веке (Узловые проблемы происхождения и развития Кобанской культуры, Москва
- Кореневский С. 2004: Древнейшие Земледельцы скотоводы Предкавказья. Москва
- Крупнов Е 1960: Древняя история Северного Кавказа. Москва
- Куфтин Б 1944: Урартский Колумбарии у подошвы Арарата и Куро-Аракский Энеолит, ssmm-XIII- В Tbilisi, gv. 1-171
- Куфтин Б. 1949: Материалы к археологии Колхиды, том I, Тбилиси
- Куфтин Б. 1950: Материалы к археологии Колхиды, том II, Тбилиси
- Кушнарева К. Х. 1973: Обмен и торговля в Закавказье в древности, КСИА, 138, Москва, 27-38
- Кушнарева К 1993: Южный Кавказ в IX-II тыс. до н. э. Санкт-Петербург
- Микеладзе Т; Хахутаишвили Д 1985: Древнее Колхидское поселение Намчедури, Тбилиси
- Мошинский А 2013: Воины, металлурги, художники Северного Кавказа эпохи бронзы. Европа без границ Четвертое- первое тысячелетия до н. э. Санкт-Петербург, стр. 218-226
- Лордкипанидзе Г. 1977: О домонетной форме денежного обращения в Колхиде. Нумизматический сборник посвященный памяти Д. М. Капанадзе. Тбилиси, 1977, стр. 5-14
- Лордкипанидзе Г 1978: Колхида VI-II вв. до н. э Тбилиси
- Лукас А 1958: Материалы и ремесленные производства Древнего Египта, Москва
- Тавадзе Ф; Сакварелидзе Т . 1959: Бронзы древней Грузии , Тбилиси
- Техов В. 1977: Центральный Кавказ в XVI-X вв. до н. э. Цхинвали
- Техов Б. 1991: Древнейшей металлургии и металлообработке центрального Кавказа, Кавказ в системе палеометаллических культур Евразии , Тбилиси, стр. 224-233
- Трейслер М 1996: Троянские клады (атрибуций, хронология, контакты,) каталог, Москва, стр. 197-240

- Трейтслер ТрМ 2013: Троянские клады. N Четвое-первое тысячелетия до н. э. Санкт-Петербург, стр. 140-155
- Трапш М. 1970: Труды I. Сухуми
- Скаков А. 2003: Сурьмяные украшения Дигорского ушелия Протокобанской эпохи// Чтения, посвященные 100-летию деятельности Василия Алексеевича Городцова в Государственном Историческом музее. Тезисы конференции. Часть II. Москва, стр 18-22.
- Скаков А. 2003а: Об одной категории протокобанских украшений, РА N 1, Москва, стр. 91-102
- Хансен С. 2013: Клады в Европе. Бронзовый век. Европа без границ . Четвое-певое тысячелетия до н. э. Санкт-Петербург, стр. 279-289
- Хансен С. 2013а: Золотые диски эпохи меди. Европа без границ . Четвое-первое тысячелетия до н. э. Санкт-Петербург, стр. 79-82
- Хардинг Э 2013: Дольние связи Европы в эпоху бронзы. Европа без границ . Четвое-первое тысячелетия до н. э. Санкт-Петербург, стр. 170-181
- Хензел А 2013:Значение сокровища из Эберсволде в культурном контексте эпохи проздней бронзы. Четвое-первое тысячелетия до н. э. Санкт-Петербург, стр. 232-235
- Шишкина Н 2013: Бородинский клад. продолжение поиска Европа без границ . Четвое-первое тысячелетия до н. э. Санкт-Петербург, стр. 159-169
- Янколвскапя Н, Б 1965: Международное торговое объединение Каниша, ВДИ , N3
Москва, ст, 179-192
- Müller F; Götter 2002: Gaben Rituall, Religion in der Frühgeschichte Eoropas. Mainz
- Primas M; Perniska 1998: Der Depotfund von oberwilefingen Neue Frgebnisse zur zirkulation von Metale barren // Germania, Nr-76/1, s. 25-65
- Papuashvili R. 2012: The Late Bronze Early iron Age barial grounds from Tsaism. Schriften des Zentrum für Archäologie und Kulturgeschichte des schwarzmeerraumes 22, bei er Beron, 65-78